კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი # 4

2015 წლის აპრილი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

საანგარიშო პერიოდში - 1 აპრილი – 30 აპრილი - მიღწეული შედეგები:

აპრილში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და კოკი/ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული კლუბების ქსელი: გაფართოვდა სამოქმედო არეალი, ახალ ადგილებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და სხვა აქტივობები, რამაც ხელი შეუწყო ახალი ბენეფიციარების მოზიდვას.

ჩატარდა 6 დამატებითი აქტივობა ახალგაზრდების ინიციატივით. აქტივობებში ჩაერთო 93 ადამიანი.

- ქუთაისის ახალგაზრდული კლუბის მოხალისეებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მე-6 სკოლაში (ქუთაისი) აღნიშნეს დედამიწის დღე 21 ადამიანის მონაწილეობით.
- სენაკში ახალგაზრდებმა სხვადასხვა სკოლის ეკო-კლუბის წევრებთან ერთად ეკოლოგიის დღე აქციით აღნიშნეს. დაესწრო 14 ადამიანი.
- სოფელ ქუტირში (ხონის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „აზარტული თამაშების გავლენა მოზარდებზე“. ესწრებოდა 12 ადამიანი - ახალგაზრდები და მათი მშობლები.

- ფოთის ახალგაზრდული კლუბის ინიციატივით საინფორმაციო შეხვედრა მიეძღვნა თემას „ნაადრევი ქორწინება და მისი ნეგატიური შედეგები“. მონაწილეობდა 17 ადამიანი.
- წყალტუბოს ახალგაზრდებმა მე-2 საჯარო სკოლაში ჩაატარეს ვორკშოპი ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე. მონაწილეთა რაოდენობა -15.
-კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდების ინიციატივით სოფელ ორსანტიაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) 14 ადამიანის მონაწილეობით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „ქალთა უფლებები“.
-ქალთა უფლებებისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა პერიფერიებში, ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ახალგაზრდულ კლუბებთან ახლომდებარე სოფლებში (ორსანტია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქუტირი - ხონის მუნიციპალიტეტი).
- ყოველთვიური გეგმიური შეხვედრები გრძელდება სხვადასხვა ფორმატის აქტივობით, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების მობილიზებას და მათ გააქტიურებას ექვსივე ახალგაზრდულ კლუბში.
- ქუთაისის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად თანამშრომლობს ქუთაისის ახალგაზრდულ კლუბთან.
- დაინერგა გაცვლითი შეხვედრების პრაქტიკა. ხონში ჩავიდნენ ქუთაისის კლუბის წევრები, ხონიდან ახალგაზრდები ჩავიდნენ სოფელ კოკში, სენაკელები - ფოთში. ეფექტურობიდან გამომდინარე, ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან

- გაიზარდა ინფორმირებულობა. მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს ექვსივე ქალაქში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი), გაეცნენ სიახლეებს, ადგილობრივ სოციალურ პროგრამებს, რათა ამის შესახებ შემდეგ გაავრცელონ ინფორმაცია სხვადასხვა სახის შეხვედრაზე. სოციალური სამსახურის უფროსებს მიაწოდეს ინფორმაციები, რას აკეთებენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები ძალადობის პრევენციისათვის და რა პრობლემებს აწყდებიან მსხვერპლთა დახმარების საქმეში.
- გაიზარდა კომუნიკაციის ხარისხი ცენტრის ლიდერებსა და ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებს შორის. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში გამართულ ღონისძიებებში.
- ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები: სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი შეუერთდა ფონდი „სოხუმის“ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს და სენაკის გამგეობის ინიციატივას - გაიმართა სპორტული ღონისძიებები სლოგანით „სპორტი -მშვიდობისა და განვითარებისათვის.“
- მოხდა კონკრეტული პრობლემის ადვოკატირება: ხურჩის აქტივისტმა ქალებმა შეაგროვეს ხელმოწერები სოფელ კოკის მოსახლეობაში. ამის შემდეგ განცხადებით მიმართეს ზუგდიდის გამგეობას მოთხოვნით, სოფელ კოკში დაიდგას ნაგვის ურნები. ადვოკატირების პროცესი გაგრძელდება პასუხის შესაბამისად.

გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი.

-შეივსო 12 ძალადობის მსხვერპლის ანკეტა. შემთხვევათა ნაწილი ეხებოდა ოჯახურ კონფლიქტებს (ძალადობა ქალზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრის მხრიდან). 12-დან მხოლოდ

ორმა ისარგებლა ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისით, დანარჩენებს არ ჰქონიათ არანაირი რეაგირება.

გაიზარდა მიმართვა იურისტებთან და ფსიქოლოგებთან. კონსულტაციების მეშვეობით დარეგულირდა კონკრეტული შემთხვევები.

-იურისტების დახმარებით ხონსა და ნაბაკევში (გალის მუნიციპალიტეტი) თითო, ქუთაისში კი ორი ოჯახური კონფლიქტი მოგვარდა.

- რეაგირება მოხდა წინა თვეს იურისტის მიერ დევნილთა და განსახლების სამინისტროს სახელზე გაგზავნილ წერილზე, რომელიც ეხებოდა სასტუმრო „ხვამლის“ (ქუთაისი) რეაბილიტაციის საკითხს. წერილის შემდეგ შესაბამის ორგანოებს მიეცათ მითითება შენობის ხელახალი შესწავლისა და მისი ვარგისიანობის დადგენის შესახებ.

- ქუთაისში იურისტს მიმართა მსხვერპლმა, რომელსაც სახეზე ემჩნეოდა ფიზიკური ძალადობის ფაქტები. მას არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია, ვისთვის შეიძლებოდა მიემართა ძალადობის შემთხვევაში. იურისტის კონსულტაციის შემდეგ ის შეხვდა ფსიქოლოგს, რადგან აღენიშნებოდა ემოციური ფონი. კომპლექსური დახმარების შედეგად ქალბატონი დამშვიდდა და განაგრძო ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან.

- ფსიქოლოგთან ცხელ ხაზზე 3 ძალადობის მსხვერპლის ზარი დაფიქსირდა.

- 2 ქალბატონს ფსიქოლოგის მიერ გაეწია ონლაინკონსულტაცია.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ლიდერები ახლომდებარე სოფლებში აგრძელებენ სამობილიზაციო შეხვედრებს.

- გაიზარდა ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა.

- სოფლებში მუშაობამ აჩვენა თანამშრომლობის ეფექტურობა და მისი გაგრძელების აუცილებლობა.

- გაიმართა გასვლითი შეხვედრები. სოფელ ხურჩაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მცხოვრები ქალები დაესწრნენ ფსიქოლოგთან შეხვედრას სოფელ კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ხოლო ქალები სოფელ მენჯიდან (სენაკის მუნიციპალიტეტი) სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მივიდნენ ფსიქოლოგთან შეხვედრაზე.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ფოკუს-ჯგუფი და სამი ჩაღრმა-ვებული ინტერვიუ ქუთაისში, ხონსა და თბილისში.

-გამოიკვეთა, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერების რაოდენობა არ შეესაბამება ძალადობის მასშტაბებს.

- დაფიქსირდა რეფერალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის აუცილებლობა, აგრეთვე იმ რესურსების გამოყენების საჭიროება, რაც არასამთავრობო სექტორს გააჩნია ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

-განსაკუთრებით აღინიშნა, რომ სკოლებში საჭიროა არა მხოლოდ ფსიქოლოგი, არამედ სოციალური პედაგოგი, აგრეთვე მნიშვნელოვანია რთული მოზარდი გოგონებისთვის სპეციალიზირებული დაწესებულების არსებობა.

გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან.

-მოგვარდა ოჯახური ურთიერთობები: წინა თვეებში ჩატარებული ვორკშოპების მონაწილე 2 ქალმა ოჯახური კონფლიქტების მართვა მოახერხა (პირველი შემთხვევა - კონფლიქტი შვილთან, მეორე - კონფლიქტი მეუღლესთან).

-ახალგაზრდების ჯგუფმა ახალი აქტივობები ჩაატარა: მარტში მათთვის გაიმართა მასტერ-კლასი „ვორკშოპების ჩატარების ტექნიკა და უნარ-ჩვევები", რის საფუძველზეც ახალგაზრდებმა აპრილში 3 ვორკშოპი ჩაატარეს - ხონის #4 სკოლაში, სენაკის #7 სკოლაში და კოკის საჯარო სკოლაში. მონაწილეობა მიიღო 32 ახალგაზრდამ.

ფორუმ-თეატრმა აქტიურად გააგრძელა წარმოდგენები ძალადობის თემაზე

- ფორუმ-თეატრის გამოსვლა ჩატარდა ქუთაისის ცენტრალურ პარკში. დისკუსიაში აქტიურად ჩაერთნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. მეორე წარმოდგენა გაიმართა სოფელ კოკის საჯარო სკოლაში, ესწრებოდნენ პედაგოგები და მოსწავლეები. გაჩნდა სკოლაში მსგავსი ფორმატის შექმნის და დისკუსიების გაგრძელების იდეა.

აპრილში ჩატარდა 87 აქტივობა.
მონაწილეობა მიიღო 1081 ადამიანმა.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემაზე „ოჯახში ძალადობა, კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, ოჯახური კონფლიქტების მართვა – 454 მონაწილე

6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 62 ადამიანი

6 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში - 52 მონაწილე

6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 47 მონაწილე.

8 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში – 49 მონაწილე

6 ახალგაზრდული კლუბი – 97 მონაწილე

6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 96 მონაწილე

2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 65 მონაწილე

5 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩატარებული 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი - 17 მონაწილე

9 დამატებითი ღონისძიება: 142 მონაწილე

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

ქუთაისი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორმა ჩაატარა 3 სამობილიზაციო შეხვედრა ნიკეას ბავშვთა სახლ „აისის“, ყოფილი დახელოვნების ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის და სამთო ტექნიკუმის კოლექტიურ ცენტრებში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა ჩაატარა შეხვედრა თემაზე „შიში და ფობია“.
6 კოლექტიურ ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედ-რები.
ფსიქოლოგმა ორ ქალბატონს გაუწია ონლაინ-კონსულტაცია, რადგან ისინი ვერ ახერხებდნენ პირადად ფსიქოლოგთან შეხვედრას.
ფორუმ-თეატრმა შეხვედრა ჩაატარა ქუთაისის ცენტრალურ პარკში.
იურისტის კონსულტაცია გაიმართა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. შეხვედრის მონაწი-ლეებმა მიიღეს ინფორმაცია ადმინისტრაციულ კანონზე.
იურისტმა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა აგრეთვე ქუთაისის 8 სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში.
ახალგაზრდული კლუბის აქტივისტების ინიციატივით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მე-6 სკოლაში (ქუთაისი) აღინიშნა დედამიწის დღე.
ჩატარდა 1 ფოკუს ჯგუფი.

წყალტუბო

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზა-ციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონის სახლები #9 და #12, აგრეთვე #1, #2 და #3 სკოლები, სოფელი თერნალი.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „შიში და ფობია“.
იურისტის კონსულტაციაზე შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია, რას ნიშნავს ქალის უფლებები, როგორ უნდა მოიქცეს მსხვერპლი მასზე ძალადობის შემთხვევაში.
წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „ქალთა უფლებები, რეზოლუცია 1325“.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალგაზრდების ჯგუფთან თემაზე „კომუნიკაცია და კონფლიქტი“.

ხონი

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის #83, #84, #85, #89, #91 სახლებში და აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლებთან.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა ჩაატარა შეხვედრა თემაზე „თვითკონტროლი“.
მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია თვითკონტროლის ფენომენსა და თვითრეგულაციაზე.
იურისტმა საინფორმაციო შეხვედრაზე ისაუბრა თემაზე: მეურვეობა, ალიმენტის დანიშვნის პირობები.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ახალგაზრდული კლუბის შეხვედრაზე ისაუბრეს იმ აქტივობებზე, რომელთაც ახალგაზრდები გეგმავენ.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში თემაზე „კომუნიკაცია და კონფლიქტი“.
მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფი.

ფოთი

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა: ახალი რაიონი - გაგრის ქუჩა ##9, 10, 10ა, 12, 13, 15 სახლებში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე „თვითკონტროლი“.
გაიმართა იურისტის კონსულტაცია შემდეგ საკითხებზე: განქორწინება და მასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურები, ადვოკატის აყვანის წესი, სასამართლოსთვის საჭირო დოკუმენტაცია და სხვა.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა გაიმართა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. ისაუბრეს ქალთა უფლებებზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე.

სენაკი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა: წითელი ჯვრის ოფისი, სასტუმრო „ეგრისი“, „კოლხეთი“, #1 და #2 პროფტექნი-კუმი, პროფსასწავლებელი #139, სოფელ ხორში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „შიში და ფობია“.
იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხით: მეურვეობა და ალიმენტის დანიშვნის პირობები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველ სკოლაში (სენაკი) თემაზე „ქალთა უფლებები“, საერთაშორისო რეზოლუციები.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ვორკშოპი თემაზე „კომუნიკაცია და კონფლიქტი“.

ხურჩა-კოკი

ხურჩასა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.
კოკის საჯარო სკოლაში ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „შიში და ფობია“. ესწრებოდნენ სოფელ ხურჩიდან ჩამოსული ქალები.
იურისტის კონსულტაციაზე დაისვა საკითხი, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ვის შეიძლება მიმართოს ძალადობის მსხვერპლმა ან მისმა ახლობელმა და რა შეიძლება გააკეთოს.
კოკის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ქალთა უფლებებზე, გაეროს 1325 რეზოლუციაზე.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალებთან კოკის საჯარო სკოლაში თემაზე „კომუნიკაცია და კონფლიქტი.“
ფორუმ-თეატრმა გამართა წარმოდგენა კოკის საჯარო სკოლაში.

ისტორიები (სახელები შეცვლილია)

იურისტმა იმუშავა ოჯახურ კონფლიქტზე: ოჯახის რძალს, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს მეუღლე, მისთვის განკუთვნილ პენსიას ართმევდა დედამთილი, იმ მოტივით, რომ მას წამლები სჭირდებოდა და თვითონ განკარგავდა ამ ფულს. ამის ნიადაგზე დაწყო დავა, რძალი გააგდეს ოჯახიდან ისე, რომ მცირეწლოვანი შვილები არ გაატანეს. იურისტის ჩარევით, დედამთილს განემარტა, რომ იურიდიულად ამ თანხის განკარგვის უფლება ჰქონდა გარდაცვლილის მეუღლეს. ბავშვები დაუბრუნდნენ დედას, რომელიც დროებით ძმასთან ერთად ცხოვრობს და მას სრული უფლება აქვს, ისარგებლოს მისთვის განკუთვნილი პენსიით.

მარინა გ-მ. არის მარტოხელა დედა, სოციალურად დაუცველი, რომელსაც ოჯახის წევრი (დედამთილი) უპირებს სახლიდან გაგდებას. მათ შორის კონფლიქტი დიდი ხანია არსებობს. გასულ თვეს დედამთილმა მარინას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მან გამოიძახა პატრული, დაფიქსირდა სახეზე ნაიარევი, რომელიც ექსპერტიზას უკვე გადაეგზავნა. იურისტის კონსულტაციით მან აიყვანა სახაზინო ადვოკატი, რომელიც მის უფლებებს სასამართლოზე უფასოდ დაიცავს, რადგან ის სოციალურად დაცველია.

დევნილ ქალბატონ ნონას ბინის პრობლემა ჰქონდა. როგორც გაირკვა, მეუღლესთან გაცილებულია. ბავშვი მიწერილი ჰყავს მამას, რომელმაც დევნილთა კოლექტიურ ცენტრში უკვე მიიღო ბინა, მათ შორის შვილისთვის განკუთვნილი ფართიც და ცხოვრობს მეორე ოჯახთან ერთად. ნონას ბინით დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს, რადგან მისი შვილის ფართი მამას დაუმტკიცდა. იურისტის მითითებით, ნონამ მოამზადა საბუთები სასამართლოში შესატანად, რათა მეუღლისგან მოითხოვოს შვილის წილი.